წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №23

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ.წალენჯიხა

ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის გაგრძელებას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია.

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12:45 სთ.

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი :

1. საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ;

   მომხს. თემურ ღვინჯილია

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

   მომხს. თემურ ღვინჯილია

საკითხის განხილვის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ თ.ღვინჯილიამ საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას საკითხთან დაკავშირებით განუმარტა, რომ კომისიის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ირჩევს საკრებულო თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა ერთ მეხუთედს და საკრებულოს ფრაქციას. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. რის შემდეგაც მოუწოდა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატურები.

1.1) მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრების დავით ბელქანიას, დათა კუკავას, სოლომონ სარიას, მაია მიქავას, დარეჯან დადიანის და ასმათ კვარაცხელიას მიერ დასახელებულიქნა თენგიზ ფიფიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:
თენგიზ ფიფიას კომისიის თავმჯდომარედ არჩევას ხმა მისცა 26–ივე საკრებულოს წევრმა,
ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ თენგიზ ფიფიას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N56).

1.2) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრების დავით ბელქანიას, ცოტნე მესხიას, ლევან შელიას, დათა კუკავას, ნონა მიქავას და თეა ხასაიას მიერ დასახელებულიქნა ბაკურ სონგულიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.
მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:
ბაკურ სონგულიას კომისიის თავმჯდომარედ არჩევას ხმა მისცა 26–ივე საკრებულოს წევრმა.
ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ბაკურ სონგულიას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N57).

1.3) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრების ვალერიანე კვარაცხელიას, მანანა ჭანიას, ბაჩუკი უბილავას, ვლადიმერ კვარაცხელიას, ასმათ კვარაცხელიას და კახაბერ ჯოლოხავას მიერ დასახელებულიქნა ლევან შელიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.
მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:
ლევან შელიას კომისიის თავმჯდომარედ არჩევას ხმა მისცა 26–ივე საკრებულოს წევრმა. ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან შელიას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N58).

1.4) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრების გოჩა ლიპარტიას, ბაჩუკი

უბილავას, ზურაბ სამუშიას, ანზორ ძაძამიას, ვალერიანე კვარაცხელიას და მანანა ჭანიას მიერ დასახელებულიქნა დალი კვარაცხელიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:

დალი კვარაცხელიას კომისიის თავმჯდომარედ არჩევას ხმა მისცა 24–მა საკრებულოს წევრმა, ბათილი - 2 ბიულეტენი. ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება მუნიციპალიტეტის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დალი კვარაცხელიას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N59).

1.5) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრების თეა ხასაიას, დალი კვარაცხელიას, იაგო მიქავას, ბაკურ სონგულიას, კახაბერ ჯოლოხავას და დავით ფიფიას მიერ დასახელებულიქნა მანანა ჭანიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:

მანანა ჭანიას კომისიის თავმჯდომარედ არჩევას ხმა მისცა 24–მა საკრებულოს წევრმა, ბათილი - 2 ბიულეტენი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე მანანა ჭანიას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N60).

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საკითხის განხილვის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ თ.ღვინჯილიამ საკრებულოს,დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ“ განკარგულების პროექტი, წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ღია კენჭისყრა . ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 26, წინააღმდეგი -0) დამტკიცებულიქნა საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობა (განკარგულება N61)

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია